პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

6 სექტემბერი

ოთხშაბათი,

1961 წ.

№ 137 (1773)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია მ. ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით ბაქოს უძლიერეს მოჭადრაკეებთან, გამოგვიგზავნა გაზეთ „ფიზკულტურნიკ აზერბაიჯანას" ფოტოკორესპონდენტმა ფ. რაჯაბლიმ. წინა პლანზე მ. ბოტვინიკი (მარცხნივ) ფიქრობს მორიგ სვლაზე ოსტატობის კანდიდატ ს. ველიბეკოვთან პარტიაში.

დღეს მსოფლიო ჩემპიონი და ს. ფლორი თბილისში ჩამოდიან. დიდ ინტერესს იწვევს მ. ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით თბილისის 8 უძლიერესი მოჭადრაკის წინააღმდეგ. მსოფლიო ჩემპიონს არაერთი მსგავსი ერთდროული თამაშის სეანსი გაუმართავს უცხოეთში და კარგი შედეგითაც დაუმთავრებია ისინი. საინტერესოა, რომ მ. ბოტვინიკს თვითეულ პარტიაში 40 სვლაზე 2,5 საათი ეძლევა, ამდენივე მის მოწინააღმდეგეებს. მაგრამ ფაქტიურად მსოფლიო ჩემპიონს ნაკლები დრო გამოსდის. მაგალითად, ერთ პარტიაში სვლის მოფიქრებისას შეიძლება დანარჩენ 7 პარტიაში ერთდროულად იმუშაოს ყველა მისმა საათმა, რაც დროის დაკარგვა იქნება. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონს ჩვეულებრივზე უფრო ფხიზლად მოუხდება თამაში, რომ ცაიტნოტში არ მოექცეს. თბილისში მ. ბოტვინიკი შეხვდება ოსტატობის კანდიდატებს თ. ლომაიას, თ. გიორგაძეს, თ. კიკიანს, ა. იზვოზჩიკოვს, გ. გამრეკელს, მ. თხელიძეს და სხვებს.

გროსმაისტერ ს. ფლორს არაერთხელ ჩაუტარებია ერთდროული თამაშის სეანსი თბილისში. ამჯერად მისი სეანსის მონაწილენი შეირჩევიან კენჭისყრით, რომელიც გაიმართება თამაშის დაწყების წინ მსურველთა შორის, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში. გროსმაისტერს ეთამაშება ის 30 მოყვარული, რომლებსაც შეხვდება ბედნიერი კენჭი.

## ორი შესწორება

ლვოვი. (ტელეფონით). „დინამოს" საცურაო აუზში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობა ცურვაში. შეჯიბრების პირველი დღე აღინიშნა საკავშირო რეკორდით, როცა მოსკოველმა ლ. კოლესნიკოვმა 100 მ ბრასის სტილით ცურვაში აჩვენა 1.11,1 წამი და 0,3 წამით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი. ამ დისტანციაზე ამავე სტილით ცურვაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა გ. ეგოროვა—1.21,9 წ. 100 მ ნებისმიერი სტილით, ცურვაში ქალთა შორის სტარტიდანვე დაწინაურდნენ სტალინგრადელი გ. სამოვაროვა და ბაქოელი რ. არკადიევა. მცირე უპირატესობით გაიმარჯვა სტალინგრადელმა 1.07,1 წ. ვაჟებში ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ვ. კონოპლევმა — 57,4.

100 მ ბატერფლაის სტილით ცურვაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ ქალებში ვ. პოზნიაკი (მოსკოვი) — 1.13,1 და მისი თანაგუნდელი ვ. კუზმინი (ვაჟთა შორის) — 1.03,1.

შეჯიბრების მეორე დღეს კიდევ ერთი შესწორება იქნა შეტანილი საკავშირო და ევროპის რეკორდების ცხრილში. ახალი რეკორდების ავტორია ლ. ბარბიერი, რომელმაც 200 მ ზურგზე ცურვაში აჩვენა 2.16,5. ქალთა შორის 100 მ ცურვაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა ლ. ვიქტოროვამ — 1.14,1.

## კალათბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 სექტემბრისათვის

ვაჟები

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა მოსკოვი | 10 | 9 | 1 | 9 |
| „დინამო" მოსკოვი | 11 | 8 | 3 | 8 |
| „დინამო" თბილისი | 10 | 6 | 4 | 6 |
| სკიფი კიევი | 7 | 5 | 2 | 5 |
| სკა რიგა | 10 | 5 | 5 | 5 |
| „ბურ". ლდ. | 9 | 3 | 6 | 3 |
| „სპარტაკი" ლდ. | 9 | 1 | 8 | 1 |
| „ჟალგირისი" კნ. | 11 | 1 | 10 | 1 |

* * *

კაუნასი. აქ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „ჟალგირისი" და რიგის არმიელთა კოლექტივი. შეხვედრა მოიგეს რიგელებმა — 78:72.

# გვექნება სპორტული კლუბი

ნ. გიორგობიანი,
თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორი

„სადაც ოაზისია, იქ ეძიე წყალიც", — ამბობს ძველი ინდური ანდაზა. ასევე: სადაც ახალგაზრდობაა, შეუძლებელია ფიზკულტურა და სპორტი პოპულარული არ იყოს. ამიტომ ლიტონი სიტყვები არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენთან, პოლიტექნიკურ ტექნიკუმში, უყვართ და აფასებენ სპორტს.

ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი შედარებით ახალგაზრდაა, მიუხედავად ამისა, შეუპოვარი და დაუღალავი საქმიანობის შედეგად შესაძლებელი შეიქმნა ისეთი ძლიერი და მონოლითური კოლექტივის ჩამოყალიბება, რომელიც უკვე კარგა ხანია თბილისის ტექნიკუმებს შორის არავის უთმობს უძლიერესის სახელს.

ჩვენი ტექნიკუმის ფიზკულტურელები სპორტული ტრადიციების უქონლობას ვერ დაემდურებიან, ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივში აღიზარდნენ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები გუნდის წევრები: ბ. კოპალეიშვილი, გ. მაჭავარიანი, ჭიდაობაში ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობის პრიზიორი ს. ნიკოლოზაშვილი და სხვანი. ახალგაზრდობამ ღირსეულად მიიღო ესტაფეტა თავიანთი ცნობილი კოლეგებისაგან. ამაზე ლაპარაკობს მრავალი სიგელი და თასი, რომელიც ჩვენი ტექნიკუმის გუნდებმა და ცალკეულმა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებზე.

ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი 600-ზე მეტ წევრს აერთიანებს. ათი სექციაა ჩამოყალიბებული ჩვენს კოლექტივში. ისინი კარგად მუშაობენ, მაგრამ მათ შორისაც შეიძლება გამოვყოთ მოწინავენი. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან სროლის, მძლეოსნობის, კალათბურთის, ფეხბურთისა და სხვა სექციები.

განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ მოპოვებული ტექნიკუმის მსროლელებს. მათ ქალაქის ტექნიკუმებს შორის სამართლიანად დაისაკუთრეს უძლიერესის სახელი. მიმდინარე სეზონში ჩვენს მსროლელებს თითქმის არ ახსოვთ დამარცხება. ამ სახეობაში საუკეთესონი არიან გ. ხუხუნაიშვილი, მ. პერტია, ი. ახმეტელაშვილი, ა. ალუდაური და სხვები.

საამაყო და სასიხარულოა, რომ მძლეოსნობა ტექნიკუმის ფიზკულტურელებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი მძლეოსნები წლიდან წლამდე წარმატებით გამოდიან შეჯიბრებებზე. საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ მოპოვებული ცალკეულ სპორტსმენებს: კავშირგაბმულობის განყოფილების მოსწავლეს ვ. კორნეევს, საამშენებლო განყოფილების მოსწავლეებს მ. ლეკვეიშვილს, ც. ხაჩიძესა და სხვებს, რომლებიც სისტემატურად იმარჯვებენ რაიონულ და საქალაქო ასპარეზობებზე.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა კალათბურთი, რაც საერთო წარმატებებშიც გამოისახა. წელს ჩვენმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" პირველობაზე.

და რა თქმა უნდა ტექნიკუმში მრავალი მიმდევარი და თაყვანისმცემელი ჰყავს ფეხბურთს. მართალია, ჩვენი ფეხბურთელები ქალაქის ჩემპიონებად ითვლებიან ტექნიკუმებს შორის, მაგრამ ეს ტიტული არ გვაკმაყოფილებს, უკვე მეორე წელია არც ერთ ტექნიკუმს ჩვენს წინააღმდეგ არ გამოჰყავს გუნდი და სამიოდე წლის წინათ მიღებული თასი დღესაც ხელუხლებლად „განისვენებს" სხვა სიგელებსა და ჯილდოებს შორის.

მაგრამ როგორი საამაყოც არ უნდა იყოს წამყვან სპორტსმენთა გამოსვლები, ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო (თავმჯდომარე კ. ღლონტი) თავის პირველ და გადაუდებელ ამოცანად მასობრივ-ფიზკულტურული დონის ამაღლებას აყენებს.

ტექნიკუმში ყოველდღიურად ტარდება ტრადიციული შიდა-საკოლექტივო სპარტაკიადა, ხოლო ჩვენი სპორტსმენები და გუნდები ხშირად იღებენ მონაწილეობას რაიონულ, საქალაქო და „სპარტაკის" პირველობებზე.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივის შემდგომ წარმატებებს დღემდე აბრკოლებს სათანადო სპორტული ბაზების უქონლობა. ერთადერთი სპორტული დარბაზი გადატვირთულია და ვერ აუდის ფიზკულტურელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

დამაკმაყოფილებლად სრულდება გტო ნიშნოსანთა და სპორტსმენთანრიგოსანთა მომზადების გეგმა. დღეისათვის კოლექტივს ჰყავს 13 პირველი, 32 მეორე, 162 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი, 445 ნიშნოსანი, მაგრამ საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯთა მომზადების მხრივ მოგვიხდება დაძაბული მუშაობა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

და ბოლოს გვინდა გავამჟღავნოთ ერთი „საიდუმლო": ჩვენს ფიზკულტურულ კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მოიპოვოს სპორტული კლუბის საპატიო წოდება. რასაკვირველია შეგნებული გვაქვს ამ ამოცანის სიძნელე და პასუხისმგებლობა, ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე იმსჯელა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, საფუძვლიანად შეისწავლა სპორტული კლუბის დებულება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფიზკულტურელებს შეუძლიათ მოიპოვონ სპორტული კლუბის წოდება.

ამ მიზნის მიღწევაში ჩვენ დახმარებას გაგვიწევს მშობლიური კომუნისტური პარტიის მოახლოებული XXII ყრილობა, რომელმაც გააათკეცა ჩვენი კოლექტივის ძალა და მონდომება, ფიზკულტურული კოლექტივის მებრძოლი სული.

## საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებისათვის

გასულ წელს ჩატარდა შვეციის რადიომოყვარულთა ლიგის მიერ მოწყობილი სკანდინავიის ქვეყნების — ფინეთის, შვეციის, ნორვეგიის და დანიის რადისტ-მოკლეტალღოსანთა მეორე საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც დაუსწრებლად მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რესპუბლიკის რადიომოყვარულებმაც. ამ დღეებში თბილისის დოსააფ-ის რადიოკლუბმა შვეციიდან მიიღო შვეციის რადიომოყვარულთა ლიგის პრეზიდენტის ტოტტის მიერ ხელმოწერილი სამი დიპლომი. ორი დიპლომით დაჯილდოებულია მოყვარული ოპერატორი ს. კიკნაძე, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი ტელეგრაფულ და ტელეფონურ ტურებში.

დიპლომით დაჯილდოებულია, აგრეთვე თბილისის დოსააფ-ის რადიოკლუბის გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გ. მაილოვი, რ. კოსტიუკოვი და ვ. პარტისპანიანი. მათ ამ შეჯიბრებებში დაიკავეს მეორე ადგილი.

პ. ფიფია,
თბილისის დოსააფ-ის რადიოკლუბის სამოსწავლო ნაწილის უფროსი.

## მასპინძელთა უპირატესობით

ვარშავაში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება. შეხვედრა ძლიერად ჩაატარეს მასპინძლებმა. მათ გუნდურ ჩათვლაში არავის დაუთმეს პირველობა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ტანმოვარჯიშეები.

პირად ჩათვლაში ტურნირში გამარჯვებულის სახელები მოიპოვეს, აგრეთვე პოლონელმა სპორტსმენებმა: ვაჟთა შორის — როკომ, ქალთა შორის — ევსტაფიევიჩმა.

## ახალი საკავშირო

ლენინგრადში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ვ. ტრუსენოვმა ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 84 სანტიმეტრზე და 79 სანტიმეტრით გააუმჯობესა მოსკოველ კ. ბუხანცევის საკავშირო რეკორდი.

# დიდი თარიღის აღსანიშნავად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პროფკომმა გადაწყვიტა სხვადასხვა სპორტლონისძიებათა ჩატარება. ერთი მათგანი იყო სამატჩო შეხვედრები ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის სპორტსმენებთან ფეხბურთში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ფეხბურთელთა შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვეს რუსთავის სპორტსმენებმა — 2:1, სამაგიეროდ ბორჯომელებმა რევანში აიღეს ფრენბურთელთა მატჩში. შეხვედრის ანგარიშია 2:1.

საინტერესო იყო ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში. მასპინძლებმა ოთხიდან ერთი შეხვედრა მოიგეს. ეს ქულა ბორჯომელთა გუნდს მოუტანა გობრონიძემ, რომელმაც ადვილად სძლია გოლიშმანოვას.

რუსთაველ სპორტსმენებს განზრახული აქვთ კიდევ რამდენიმე სამატჩო და ამხანაგური შეხვედრების ჩატარება.

**გ. ცეცაძე**

## საგარეჯოს საჭიდაო სარბიელზე

ამას წინათ საგარეჯოს საჭიდაო დარბაზში გაიმართა წყალტუბოს, გურჯაანის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს სპორტსმენთა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში.

ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები საგარეჯოელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე. წყალტუბოს მოჭიდავეებმა თავის მხრივ სძლიეს ლაგოდეხელებს. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდა საგარეჯოელმა მოჭიდავეებმა: ძმებმა თ. და უ. კველიშვილებმა, ბ. მარიდაშვილმა, ზ. ქურხულმა, წყალტუბოელმა შ. ცანავამ და სხვებმა.

**ი. ძაგილაშვილი**

# XXII ყრილობის შესახვედრად

## სარაიონო და ამხანაგური შეხვედრები

კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა „განთიადის" ხაშურის სარაიონო პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

გუნდური პირველობა მოიპოვა აგარის შაქრის კომბინატის მოჭიდავეთა კოლექტივმა.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით უძლიერესნი იყვნენ ა. თედეშვილი, ს. ნოზაძე, ჟ. მაისურაძე, ნ. ვალიშვილი, ა. ციცქიშვილი, მ. კულიჯანოვი და ქ. ბურჯანაძე.

• • •

ხაშურის სპორტკავშირის მოწვევით ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ჩამოვიდა სტალინირის ქართულ მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

სტუმრების წინააღმდეგ ხალიჩაზე გამოვიდნენ „განთიადის" ხაშურის რაისაბჭოს მოჭიდავეები. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 6:2.

**ზ. მოსესოვი**



★

საქართველოს სამხედრო გზა (დილმის მახლობლად) ველოსიპედისტთა სავარჯიშოდ შესანიშნავი ადგილია. სურათზე თქვენ ხედავთ დედაქალაქის ველოსიპედისტებს ამ ტრასაზე.

ფოტო ს. კრუჟკოვისა.

★

# ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

## ცურვა

### სათანრიგო მოთხოვნები

### ვაჟები და ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დისტანცია (მეტრებში) | აუზი | სპორტის ოსტატი | თანრიგი I | თანრიგი II | თანრიგი III | ჭაბუკთა I | ჭაბუკთა II 11–14 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ვაჟები** | | | | | | | |
| თავისუფალი სტილი | | | | | | | |
| 100 | 20 | 57.0 | 1.02,0 | 1.11,0 | 1.25,0 | 1.30,9 | საცურაო ორჭიდი |
| | 50 | 58,5 | 1.03,5 | 1.13'0 | 1.27,0 | 1.32,0 | 50 მ თავისუფალი სტილით — 50,0 |
| 200 | 25 | 2.08,0 | 2.21,0 | 2.37,0 | 3.08,0 | 3.16,0 | 50 მ ბრასი — 1.00,0 |
| | 50 | 2.11,0 | 2.24,0 | 2.40,0 | 3.12,0 | 3.20,0 | 50 მ ბატერფლაი—1.00,0 |
| 400 | 25 | 4.35,0 | 5.00,0 | 5.36,0 | 6.31,0 | 6.52,0 | 50 მ ზურგზე — 1.00,0 |
| | 50 | 4.41,0 | 5.06,0 | 5.42,0 | 6.44,0 | 7.00,0 | — |
| 800 | 50 | 9.52,0 | 10.38,0 | 11.44,0 | 13.52,0 | — | — |
| 1.500 | 50 | 18.56,0 | 20.36,0 | 23.00,0 | 26.43,0 | 28.00,0 | — |
| ბრასი | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.12,5 | 1.17,5 | 1.25,5 | 1.43,5 | 1.48,0 | — |
| | 50 | 1.14,0 | 1.19,0 | 1.28.0 | 1.45,0 | 1.50,0 | — |
| 200 | 25 | 2.40,0 | 2.50,0 | 3.12,0 | 3.47,0 | 3.56,0 | — |
| | 50 | 2.43,0 | 2.53,0 | 3.15,0 | 3.50,0 | 4.00,0 | — |
| ბატერფლაი | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.03,5 | 1.10,5 | 1.21,5 | 1.38,5 | 1.43,0 | — |
| | 50 | 1.05,0 | 1.12,0 | 1.23,0 | 1.40,0 | 1.45,0 | — |
| 200 | 25 | 2.25,0 | 2.42,0 | 3.03,0 | 3.35,0 | 3.44,0 | — |
| | 50 | 2.28,0 | 2.45,0 | 3.06.0 | 3.38,0 | 3.48,0 | — |
| ზურგზე | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.05,0 | 1.11,5 | 1.21,5 | 1.35,5 | 1.40,0 | — |
| | 50 | 1.06,5 | 1.13,0 | 1.23,0 | 1.37,0 | 1.42,0 | — |
| 200 | 25 | 2.25,0 | 2,42,0 | 2.59,0 | 3.30,0 | 3.40,0 | — |
| | 50 | 2.28,0 | 2.45.0 | 3.02,0 | 3.33,0 | 3.43,0 | — |
| გვერდზე | | | | | | | |
| 100 | 25 | — | — | 1.20.0 | 1.31,0 | — | — |
| | 50 | — | — | 1.22,0 | 1.33,0 | — | — |
| **ქალები** | | | | | | | |
| თავისუფალი სტილი | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.06,0 | 1.12,5 | 1.22,0 | 1.38,0 | 1.43,0 | საცურაო ორჭიდი |
| | 50 | 1.07,5 | 1.14,0 | 2.24,0 | 1.40,0 | 1.45,0 | |
| 200 | 25 | 2.26,0 | 2.37,0 | 2.57,0 | 3.31,0 | 3.41,0 | 50 მ თავისუფალი—1.00,0 |
| | 50 | 2.28,0 | 2.40,0 | 3.00,0 | 3.35,0 | 3.45,0 | 50 მ ბრასი —1.10,0 |
| 400 | 25 | 5.16,0 | 5.40,0 | 6.24,0 | 7.28,0 | 7.46,0 | 50 მ ბატერფლაი—1.10,0 |
| | 50 | 5.22,0 | 5.50,0 | 6.30,0 | 7.36,0 | 7.54,0 | 50 მ ზურგზე — 1.10,0 |
| 800 | 50 | 11.10,0 | 12.00,0 | 13.34,0 | 15.46,0 | | |
| 1500 | 50 | 21.30,0 | 23.45,0 | 26.15,0 | 30.45,0 | | ჭაბუკთა II თანრიგის მისაღებად საცურაო ორჭიდში აუცილებელია შეჯიბრებებზე ოთხ დისტანციიდან ორის ტექნიკურად სწორად და ნორმატივების შესრულებით გაცურვა. |
| ბრასი | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.23,0 | 1.30,5 | 1.38,5 | 1.53,5 | 1.58,0 | |
| | 50 | 1.24,5 | 1.32,0 | 1.40,0 | 1.55,0 | 2.00,0 | |
| 200 | 25 | 2.56,0 | 3.12,0 | 3.32,0 | 4.07,0 | 4.17,0 | |
| | 50 | 2.59,0 | 3.15,0 | 3.35,0 | 4.10,0 | 4.20,0 | — |
| ბატერფლაი | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.14,5 | 1.23,5 | 2.33,5 | 1.53,5 | 1.58,0 | — |
| | 50 | 1.16,0 | 1.25,0 | 1.35,0 | 1.55,0 | 2.00,0 | — |
| 200 | 25 | 2.47,0 | 3.07,0 | 3.27,0 | 4.07,0 | — | — |
| | 50 | 2.50,0 | 3,10,0 | 3.30,0 | 4.10.0 | — | — |
| ზურგზე | | | | | | | |
| 100 | 25 | 1.14,5 | 1.22,5 | 1.31,5 | 1.48,5 | 1.53,0 | — |
| | 50 | 1.16,0 | 1.24,0 | 1.33,0 | 1.50,0 | 1.55,0 | — |
| 200 | 25 | 2.44,0 | 2.54,0 | 3.17,0 | 3.46,0 | 3.56,0 | — |
| | 50 | 2.47,0 | 2.57,0 | 3.20,0 | 3.49,0 | 3.59,0 | — |
| გვერდზე | | | | | | | |
| 100 | 25 | — | — | 1.35,0 | 1.50,0 | — | — |
| | 50 | — | — | 1.37,0 | 1.52,0 | — | — |

სათანრიგო ნორმატივების შესრულება ეთვლებათ სპორტსმენებს, რომლებიც წლის განმავლობაში მონაწილეობენ არანაკლებ შემდეგი რაოდენობის შეჯიბრებებში: ჭაბუკთა თანრიგები — 5-ჯერ, III თანრიგი — 5-ჯერ, II თანრიგი — 6-ჯერ, I თანრიგი — 8-ჯერ, სპორტის ოსტატი — 10-ჯერ.

**შენიშვნა:** ცურვაში ნაჩვენები შედეგის შესაბამისად შეიძლება მიენიჭოს მოზრდილთა III, II და I სპორტული თანრიგი მოზარდებს 12 წლის ასაკიდან.



## მინსკში დამთავრდა ნახევარფინალი

**მინსკი.** (ტელეფონით). XXII ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მინსკის ნახევარფინალში დასკვნითი, XIII ტურის წინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ჩაიკოვსკაიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რანიკუსთან და დამარცხდა არჩაკოვასთან. გურფინკელმა წააგო ანიშჩენკოსთან. ვოიცეკ-ვიტკოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა.

XIII ტურში კაკაბაძეს აუცილებლად უნდა მოეგო ტურნირის ერთპიროვნული ლიდერის კოზლოვსკაიასათვის, რომ ფინალში მოხვედრილიყო. ქართველმა ოსტატმა იშვიათი სიმტკიცით ჩაატარა პარტია და საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა. პარტია ჩაიკოვსკაიამაც მოიგო. მან დაამარცხა ხუგაშვილი, მაგრამ ფინალში ვერ გავიდა. ვოიცეკი ყაიმზე შეუთანხმდა მალკინას და მხარში ამოუდგა კაკაბაძეს. რანიკუ-ანიშჩენკოს პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, შეჯამდა მინსკის ნახევარფინალი: I-II ადგილები გაიყვეს კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) და რანიკუმ (ტალინი) — 9,5 ქულა თვითეულს, III-IV ადგილები — კაკაბაძემ (თბილისი) და ვოიცეკმა (მოსკოვი) — 9 ქულა თვითეულს. შემდეგ არიან: გურფინკელი (დონის როსტოვი), ჩაიკოვსკაია (თბილისი) — 8 ქულა თვითეულს, ...ტეევა (მოსკოვი), ...ა (ვინიცა) — 7 ქულა თვითეულს და ა. შ. თ...(თბილისი) — 4 ქულით დაიკავა XI ადგილი.

მინსკიდან ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს კოზლოვსკაიამ და რანიკუმ. მესამე მონაწილე უნდა გაირკვეს კაკაბაძესა და ვოიცეკს შორის, ალბათ დამატებითი მატჩის გამართვით.

**ა. კესელმანი,**
**ნახევარფინალის მსაჯი.**

## ხამს მოყვარე მოყვრისათვის...

...ამს წინათ ზუგდიდის საცხენო... სპორტული სკოლის საჯინიბოს ...რიტორიაზე ახალგაზრდა სპორ...მენს რემიკო გუგუჩიას ღრმა ჭა... ვედრო ჩაუვარდა. ამოღების ...ოს იგი თვითონვე ჩავარდა ჭა... მის გადასარჩენად რამდენიმე ...მა სცადა ჭაში ჩასვლა, მაგრამ ...ოდ; ჭაში დახუთული ჰაერი ...მოჩნდა, სუნთქვა ჭირდა, რ. გუ...ჩია კი შველას ითხოვდა.

...რ. გუგუჩიას მხსნელად პირველ...ნრიგოსანი მხედარი ბოჩია ემუხ...რი გამოჩნდა. იგი უმალ მიიჭრა ...თან და ამხანაგების კ. კაჭა...ვასა და ხ. ხასიას დახმარებით ...ჯერზე დაეშვა. მამაცმა სპორ...მენმა საკუთარი თავის საფრ...ეში ჩაგდებით ამხანაგი გადაარ...ნა დაღუპვას. ბ. ემუხვარი ...ორტსკოლის დირექციამ ფასიანი ...უქრით დააჯილდოვა და ბრძა...ბით მადლობა გამოუცხადა კე...ლშობილური საქციელისათვის.

**ბ. ალშიბაია**

## ...იდი ტურნირი ბლედში

...უგოსლავიის მაღალმთიანი კუ...რტი ბლედი, რომლის მთავარი ...სშესანიშნაობაა ანკარა ტბა, ...ჭადრაკეების განსაკუთრებული ...ონებით სარგებლობს. ლამაზი ...ნება, ჰაერი და ოლიმპიური ...უნარე კარგად განაწყობენ შე...მედებისათვის. ამიტომ შემთხვე...ი არ იყო, რომ მასპინძლებმა ...რედ ბლედში აალებინეს სტარ... პრეტენდენტთა 1959 წლის ...რნირის მონაწილეებს.

...პირველად დიდი ტურნირი ...ედში გაიმართა 1931 წელს, რო... კურორტზე ჩამოვიდა იმ დროი...ვის მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონი ალიოხინი. შეჯიბრება გადაიქცა მსოფლიო ჩემპიონის აშკარა უპირატესობის დემონსტრაციად. ალიოხინმა ისე დაიკავა პირველი ადგილი და უახლოეს მეტოქეს 5,5 ქულით გაუსწრო, რომ თვითონ არც ერთი პარტია არ წაუგია. მსგავსი მიღწევა დღემდე განუმეორებელ „რეკორდად" რჩება.

იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ გადაწყვიტა გააგრძელოს ტრადიცია. გასულ კვირას ბლედში გაიხსნა ახალი დიდი საერთაშორისო ტურნირი, ტურნირში მონაწილეობს 16 მოჭადრაკე 9 ქვეყნიდან: მ. ტალი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, ე. გელერი (საბჭოთა კავშირი), ა. ბისჰაიერი, რ. ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები), ს. გლიგორიჩი, პ. ტრიფუნოვიჩი, ბ. ივკოვი, ი. უდოვჩიჩი (იუგოსლავია), ფ. ოლაფსონი (ისლანდია), ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), ო. პანო (არგენტინა), ლ. პორტიში (უნგრეთი) კ. დარგა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ი. დონერი (ჰოლანდია).

I ტურში დამთავრდა ხუთი პარტია. გელერმა დაამარცხა პორტიში, დარგამ — უდოვჩიჩი. ყაიმით დასრულდა დონერ-პეტროსიანის, გლიგორიჩ-ფიშერისა და ბისჰაიერ-ტრიფუნოვიჩის შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ტალს მოსაგები მდგომარეობა აქვს ივკოვთან.

## გუნდი მოიხსნა უცხო პირების გამოყვანისათვის

...ტეხილი ხაზებით შემდგარი დიაგრამა უცხო თვალსაც ნათელ წარმოდგენას აძლევს ამათუიმ დაწესებულების საქმიანობის ხარისხზე.

თბილისის №7 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურელთა ოთახში მსგავსი დიაგრამა არ არის, მაგრამ კედელზე გაკრულმა სიგელებმა ფაბრიკის სპორტსმენთა საქმიანობის მეტად არასახარბიელო დიაგრამის შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

1956 წელი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აჯილდოვებს ფაბრიკის ფიზკულტურულ კოლექტივს საკუთარი ძალებით სპორტული ბაზების მოწყობისათვის (ბუნებრივია, დიაგრამის ხაზი ზევით მიიწევს). 1957 წელი. ერთადერთი სიგელი თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მოჭადრაკეებთან ამხანაგური შეხვედრისათვის, მაგრამ დიაგრამის ხაზი მაღლა მიიწევს, 1958 წელს ფაბრიკის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდები სპორტსაზოგადოება „განთიადის" პირველობაზე მესამე საპრიზო ადგილებს იკავებენ პირველ ჯგუფში მონაწილე ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

ფაბრიკის სპორტსმენების წარმატება დიაგრამაზე 1959 წლით წყდება — მძლეოსანთა გუნდმა მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა „განთიადის" პირველობაზე.

მას შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა, ფიზკულტურული საქმიანობის ამსახველი დიაგრამის ხაზი კი კატასტროფულად ეშვება ქვევით.

რაშია საქმე? ფაბრიკას აქვს ფრენბურთისა და კალათბურთის კეთილმოწყობილი კომპლექსური მოედანი, 50-მეტრიანი ტირი, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ოთახი, ნორმალურადაა გაფორმებული სექციების მუშაობის აღრიცხვიანობის დღიურებიც. აქ არიან რ. მაისურაძე და გ. ზაქარიაშვილი — განთავისუფლებული ინსტრუქტორ-მეთოდისტები. და ყოველივე ამის მიუხედავად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ერთ წერტილზეა გაყინული.

ჩვენი აზრით, აქ მთავარია საზოგადოებრივი კადრებისა და მოქმედი სპორტსმენების აქტივის უგულებელყოფა.

ფაბრიკის მძლეოსნებს ს. კოხრეიძეს, ტ. სამნუაშვილს, გ. ქურთიშვილს, ტ. ცხოვრებოვსა და ს. ოგანეზოვს მინიჭებული აქვთ II თანრიგი. მათ გარდა აქაა კიდევ 7 მესამეთანრიგოსანი. განა ეს სპორტული ძალა არ არის მძლეოსნური მუშაობის გასაშლელად? მაგრამ უყურადღებობის გამო ეს ბირთვიც დაიშალა და წელს საქართველოს პროფკავშირების პირველობაზე გაყვანილი 20 სპორტსმენიდან ვერც ერთმა მძლეოსანმა ვერ მისცა ჩათვლა გუნდს.

ასევე მოხდა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაშიც. სამეცადინო ბაზა არის, მომეცადინეთა აღრიცხვიანობა დამაკმაყოფილებელია, გუნდი კი მხოლოდ მე-8 ადგილზე გამოდის და მარცხდება იმ კოლექტივებთან, სადაც საკუთარი ტირი კი არა, თოფებიც არ გააჩნიათ.

განსაკუთრებით გვინდა გავუსვათ ხაზი მაგიდის ჩოგბურთის სექციის მეცადინეობას.

სპორტის ეს სახეობა ფაბრიკის მუშა-ახალგაზრდობას შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს და ყველაზე მეტი მიმდევარიცა ჰყავს. პროფკავშირების მიმდინარე წლის რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე გუნდი ცუდად არ უნდა გამოსულიყო, მაგრამ როგორც შეჯიბრების მთავარი მსაჯის ანგარიშშია აღნიშნული, „№ 7 სამკერვალო ფაბრიკის მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი მოიხსნა შეჯიბრებაზე უცხო პირების გამოყვანისათვის".

საინტერესოა, რაში დაჭირდა რ. მაისურაძეს თვალის ახვევა, როცა ფაბრიკას საკმაოდ კარგი ჩოგბურთელები ჰყავს?

აი, სწორედ ამ დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადაზე პირველ ჯგუფში მონაწილე 13 ფიზკულტურული კოლექტივიდან № 7 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი უკანასკნელ ადგილზე გამოვიდა საერთო ჩათვლაში.

თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკა მოწინავე საწარმოა, მაგრამ რატომ არ უნდა უწყობდნენ ფეხს ფაბრიკის წინსვლას ფიზკულტურულ-სპორტული მუშაკები, რომლებიც მოწინავეთა ავანგარდში უნდა იმყოფებოდნენ?

**გ. სამსონაძე**

## „სლოვან ორბისის" ორი მატჩი

...მხანაგური შეხვედრების ჩასა...ებლად საქართველოს ეწვია ჩე...ლოვაკიის მრავალგზის ჩემპიო... კალათბურთში, ევროპის ერთ...ი უძლიერესი საკლუბო კოლე...ვი პრაღის „სლოვან-ორბისი". ...უმრები პირველ მატჩში შეხვდ... თბილისის „დინამოს" სპორ...ენებს. „სლოვან-ორბისი" მოე...ზე ასეთი შემადგენლობით გა...იდა: ი. ტეტივი, ბ. რელიხი, ზ. ...კა, ზ. რელიხი და ს. შიპი. ამ ...ეულის ორი წევრი ი. ტეტი... და ბ. რელიხი XVII ოლიმპიუ... თამაშების მონაწილენი არიან ...თავიანთ კოლექტივში წამყვან ...ლს ასრულებენ.

...თბილისის „დინამო" (ვ. უგრე...ლიძე, ი. ხაზარაძე, ლ. ინწკირვე... ვ. ალტაბაევი, ლ.მოსეშვილი) ...აწყისიდანვე დაწინაურდა ალ...აევის ზუსტი სროლების წყა...ბით, მაგრამ რამდენიმე საპასუ... შეტევის შემდეგ ტეტივამ ...შიპმა გაათანაბრეს ანგარიში. ...ხის დაწყებითი სტადია საკ...დ უფერული აღმოჩნდა, რად... ორივე გუნდი ნელ ტემპში ...აშობდა. სწორედ ამიტომ ჩეხე... მწვრთნელმა ვ. კრასამ თამაშ... შემოიყვანა გუნდის ვეტერანი, ...წლის მ. შკერჟიკი, რომელსაც ...ტაკურად უნდა დაეხვეწა თავი...კოლეგების თამაში.

...მ დროისათვის „დინამომ" იწყო ...პის ზრდა. მას ძალაუნებურად ...ენ. სტუმრები და ბრძოლამ ...ინტერესო ხასიათი მიიღო. პირ... ნახევარს თბილისის „დინამო" ...ბს ანგარიშით 36:26.

...მეორე ნახევარში დინამოელები ...ერო აგრესიულად იწყებენ ბრძო... რამდენიმე წუთის შემდეგ შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილია. „დინამოს" მიჰყავს ანგარიში 18 ქულით. თბილისელებს თამაშში შემოჰყავთ ახალი ძალები, ისინი ყველანი ახალგაზრდები არიან და ამიტომაც შესამჩნევად ნერვიულობენ. სხვებზე ადრე თამაშში ჩაერთო ა. სხირელი, რომელიც სულ მალე გაირკვა სიტუაციებში, გათამამდა და თავისუფლად დაიწყო თამაში. მალე მოედანზე შემოვიდა ვ. კეკელიძე, უდავოდ კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენი. თბილისელთა მწვრთნელმა კიდევ ორი დებიუტანტი შემოიყვანა თამაშში — გ. ქერქაძე და ს. მალალაშვილი, რომლებმაც საერთოდ დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვეს.

რა თქმა უნდა, ამ თამაშით ძნელია მათ რაიმე პრეტენზია წავუყენოთ, მაგრამ თვით ფაქტი იმისა, რომ გუნდში არიან მონდომებული და კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები, უდავოდ მისასალმებელია. სასიამოვნოა ისიც, რომ ამ ახალგაზრდებს ვანდობთ ადგილებს საპასუხისმგებლო შეხვედრებში.

მატჩის უკანასკნელ წუთებში უპირატესობა სტუმრების მხარეს გადავიდა, მაგრამ შეხვედრა მაინც „დინამომ" მოიგო ანგარიშით 71:66.

* * *

გუშინ ჩეხმა კალათბურთელებმა ჩაატარეს მეორე შეხვედრა თბილისის ნაკრებ გუნდთან. ეს მატჩი მოიგო ნაკრებმა ანგარიშით 77:68.





**სურათებზე:** ვ. უგრეხელიძე (მარცხნივ) და ი. ხაზარაძე ბურთს ხელით აგდებენ კალათში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



სურათზე: „დინამოს“ სამბისტთა სექციის მეცადინეობა.
ფოტო გ. თარალაშვილისა.

# კვლავ კონფლიქტი

ამერიკელი გროსმაისტერი ს. რეშევსკი მტკიცედ მისდევს ებრაული რელიგიის ყველა ნორმას და ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. ამას წინათ ამერიკიდან მოვიდა რეშევსკის ახალი კონფლიქტის ამბავი;

ამერიკელმა მეცენატებმა, რომლებიც არ იშურებენ დოლარებს თავიანთი საჭადრაკო მადის დასაკმაყოფილებლად, მოაწყვეს საინტერესო ორთაბრძოლა აშშ-ს ძველ და ახალ ჩემპიონებს — 50 წლის რეშევსკისა და 18 წლის ფიშერს შორის. მატჩი, რომელშიც უნდა გათამაშებულიყო 14 პარტია, შეწყდა XII პარტიაზე, როცა ანგარიში იყო 5,5:5,5.

რეშევსკი ებრაული რელიგიის შესაბამისად პარასკეობით არ თამაშობს, ხოლო შაბათს თამაშს იწყებს პირველი ვარსკვლავის გამოჩენის შემდეგ. პარტია რომ ღამით არ გაგრძელებულიყო, ორგანიზატორებმა იგი კვირა დილით დანიშნეს. ფიშერი არ დაეთანხმა მსაჯებს და თამაში მოითხოვა საღამოს. მაგრამ ჭაბუკ ჩემპიონს არავინ უგდო ყური.

დილის 12 საათზე სატურნირო დარბაზში გამოცხადდნენ რეშევსკი, მსაჯები და ჩართეს საათი. როცა გავიდა ერთი საათი, მსაჯებმა ფიშერს გამოუცხადებლობის გამო წაგება მიუსაჯეს. კმაყოფილი რეშევსკი ნიუ-იორკს გაემგზავრა. ფიშერმა სასტიკი პროტესტი განაცხადა. მან მოითხოვა შედეგის გაუქმება და პარტიის დანიშვნა მისთვის ხელსაყრელ პირობებში.

როცა გვესმის ახალი კონფლიქტის შესახებ, უნებლიედ გვაგონდება გროსმაისტერ კოტოვის „ოინი“, რომელიც მან რეშევსკის გაუკეთა. ეს მოხდა ტურინის 1953 წ. საერთაშორისო ტურნირზე. რეშევსკი შაბათობით მზის ჩასვლის შემდეგ იწყებდა თამაშს და ამას მიუჩვეველი მეტოქეები აგებდნენ პარტიებს უხეში შეცდომებით. მაგრამ როცა კოტოვს მოუწია რეშევსკისთან თამაშმა, მან მსაჯებს განუცხადა:

— მე ღამე არ შემიძლია თამაში, მაგრამ რეშევსკის ხომ რელიგიური ... გამო ... ძლია ... დილიდან თამაში ... ულებრივ დროს.

— რა მექნა, — იგონებს კოტოვი, — ანგარიშგასაწევი არგუმენტი იყო. გადავწყვიტე ხუმრობა, შეიძლება რამე გამოვიდეს-მეთქი.

— ჩვენ მართლმადიდებლური რწმენა ნებას არ გვაძლევს ვითამაშო ღამით, ვთქვი სწრაფად, თვითონ არ მჯეროდა, რომ ეს ... ნაგონი იმოქმედებდა. — ... ბობს კიდეც გამოთქმა, — ... ვითარებდი ჩემს მონაგონს და ... გონებდი ახალ საეკლესიო კანონს „არ აქციო დღე ღამედ!“.

შვეიცარელმა მსაჯმა გაკვირვებით შეხედა კოტოვს, გაიღიმა და წავიდა. პარტია გადაიტანეს ... დღისათვის და ჩვეულებრივ დრო... დაიწყეს. სხვათა შორის, იგი მ... გო კოტოვმა.

ამრიგად, რეშევსკი-ფიშერის კონფლიქტი გრძელდება. ამითვე ა... ნება ის, რომ ბლედის გროსმაისტერთა ტურნირზე ჩამოვიდა მ... ლოდ ფიშერი. რეშევსკიმ არ მ... ლო მოწვევა.

— იქ, სადაც ფიშერია, მე ... მინდა, — განაცხადა მან.

თ. გიორგაძე



ფეხბურთის მოყვარული ო. კიკვაძე ამბროლაურის რაიონიდან გვეკითხება: „ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ 1957 წლიდან მოყოლებული მოსკოვის „ტორპედოს“ წაეგოს მატჩი ისეთი დიდი ანგარიშით, როგორც წელს თბილისის „დინამოსთან“?

ყოფილა. 1958 წელს ტორპედოელები დამარცხდნენ მოსკოვის „დინამოსთნ“ — 2:5 და მოსკოვის „ლოკომოტივთან“ — 1:4. 1959 წელს მათ წააგეს მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ანგარიშით 0:4.

* * *

„ვისა აქვს საქართველოს ფეხბურთელთაგან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება? ყოფილა თუ არა შემთხვევა მეკარეებს გაეტანოთ ბურთი მოწინააღმდეგის კარში?“ ასეთი შეკითხვები გამოგზავნა რედაქციაში ჯ. კაკულიამ.

საქართველოს ფეხბურთელთაგან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიღებული აქვთ. ა. ჟორდანიას, შ. შავგულიძეს, ბ. პაიჭაძეს, გ. გაგუას, მ. ბერძენიშვილს, ა. კიკნაძეს, გ. ჯეჯელავას, ვ. პანიუკოვს, ს. შუდრას, ა. ღოღობერიძეს, გ. ანთაძეს, ვ. მარღანიას, ნ. ძიაპშიპას, ა. ზაზროშვილს, ა. გალპერინს.

რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას, მეკარეთა მიერ მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანის შესახებ, ამგვარ მაგალითებს ოფიციალური ფეხბურთის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა რამდენიმეჯერ.

• • •

ფეხბურთის მოყვარულები ქ. ბათუმიდან იწერებიან საინტერესო წერილს: „საქართველოს თასის გათამაშების მატჩში ბათუმის „განთიადსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის, მსაჯმა გ. აკობაშვილმა თამაშის მსვლელობაში მინდვრიდან გააძევა გვერდითი მსაჯი. გთხოვთ გაგვიმარტოთ — ჰქონდა თუ არა ამის უფლება გ. აკობაშვილს და საკავშირო პირველობაზე თუ შეიძლება მოხდეს ამგვარი რამ?

ფეხბურთის წესების შესაბამისად მსაჯს უფლება აქვს შეცვალოს დამხმარე მსაჯი, თუ ამ უკანასკნელის მოქმედებანი არასწორია ან ხელს უშლის თამაშის ნორმალურ მსვლელობას.

ამდენად გ. აკობაშვილს სრული უფლება ჰქონდა შეეცვალა გვერდითი მსაჯი თქვენს მიერ აღნიშნულ მატჩში. ასეთივე უფლება აქვთ მსაჯებს საკავშირო პირველობის შეხვედრებშიც.




## მილუტინოვიჩი კარდაკარ

სულ სამიოდე წლის წინათ იუგოსლავიაში № 1 ფეხბურთელად ითვლებოდა ცენტრფორვარდი მილოშ მილუტინოვიჩი, რომელმაც პრესის მოწმობით თავისი თანამემამულეები პირდაპირ „მიათრია შვეციამდე“. ამის შემდეგ შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელი (დაიბადა 1933 წ.) ტუბერკულოზით დაავადდა და იძულებული გახდა ხანგრძლივი დროით ემკურნალა. განკურნების შემდეგ მილუტინოვიჩისათვის გზა იუგოსლავიის წამყვან კლუბებში დახშული აღმოჩნდა, რადგან აღარავის სწამდა წარსულში განთქმული ფორვარდის დაბრუნებისა. ამიტომ მილუტინოვიჩს მოუხდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გადასვლა, აქ მილუტინოვიჩი თამაშობდა მიუნხენის „ბაიერნში“, რომელიც პირველი ლიგის საშუალო გუნდია. საბჭოთა ფეხბურთელ ვოინოვის მოწმობით, რომელსაც მოუხდა მილუტინოვიჩის წინააღმდეგ თამაში, იუგოსლაველი იმ მრისხანე თავდამსხმელის აჩრდილსღა წარმოადგენდა, რომელსაც თავის დროზე აღიარებდა მთელი მსოფლიო.

„ბაიერნთან“ ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას მილუტინოვიჩმა მიიღო მიწვევა პარიზის „რესინგისაგან“, რომლის მწვრთნელ პოლ პიბაროს წელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საფრანგეთის ჩემპიონობა. ახლო მომავალი გვიჩვენებს, ნიშნავს თუ არა ეს მიწვევა მილუტინოვიჩის ახალი სპორტული კარიერის დასაწყისს.

## უ. გომეცმა ნახა „მამა“

მილანის გუნდმა „ინტერნაციონალემ“ იტალიის ჩემპიონატი დაიწყო ახალი მოთამაშით, რომლის სახელი და გვარია უმბერტო გომეცი. სულ ცოტა ხნის წინათ 23 წლის გომეცი პორტუგალიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო და ახლა ესპანელ ლ. სუარესთან და ინგლისელ ჯ. ჰიტჩენსთან ერთად გამოდის „ინტერნაციონალეს“ გუნდში.

შეუძლია თუ არა 3 უცხოელს ითამაშოს ერთ გუნდში? იტალიაში არსებობს დებულება, რომლის მიხედვითაც კლუბს შეუძლია ჰყავდეს მხოლოდ ორი უცხოელი ფეხბურთელი. მაგრამ „ინტერნაციონალეს“ ახალმა მწვრთნელმა ესპანელმა ე. ერერამ ოსტატური ხერხით გვერდი აუარა ამ კანონს.

მწვრთნელმა შემთხვევით გაიგო, რომ გომეცს არა ჰყავდა მამა. დახმარებისათვის მოწვეულ იქნა ვინმე ვ. რაჩი, რომელმაც ფიცი დასდო, რომ 24 წლის წინათ ახლო იცნობდა მარია ანტონიო გომეცს, შემდეგ რაჩიმ განაცხადა, რომ მას აქვს საბუთი იმის შესახებ, რომ უმბერტო გომეცი მისი ვაჟიშვილია. რაჩიმ უეცრად გადაწყვიტა შედგომოდა თავისი „პორტუგალიელი ვაჟიშვილის“ აღზრდას, მან რაღაც საშუალებით გომეცს მოუხერხა იტალიური ქვეშევრდომობა, მოაწერა რა „ინტერნაციონალესთან“ ხელშეკრულებას ხელი, გომეცი ჩამოვიდა მილანში და გაეცნო თავის „მამას“.

შედეგებით ყველა კმაყოფილია: ერერამ მიიღო კარგი ფეხბურთელი, გომეცმა ხელი მოაწერა ხელსაყრელ ხელშეკრულებას, რაჩის— გაუჩნდა ფული. დაზარალდა მხოლოდ იტალიური ფეხბურთი, სასადაც მომთაბარე უცხოელები გზას ულობავენ ახალგაზრდა იტალიელებს.

## ჟ. კუადროსის ბრძანება

იძულებითი გადადგომის წინ ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟანიო კუადროსმა გამოსცა ბრძანება თავის ქვეყანაში პროფესიონალ ფეხბურთელთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ბრძანებაში სახელდობრ აკრძალულია კვირაში ორზე მეტჯერ თამაშის ჩატარება, რომელთა შორის შესვენება არ უნდა იყოს 72 საათზე ნაკლები (აქამდე ყოველი პროფესიონალური გუნდი 3-4-ჯერ გამოდიოდა კვირაში). პრეზიდენტმა ნება დართო მატჩები დაეწყოთ საღამოს 6 საათზე, მას შემდეგ, რაც დაიწევს მაღალი ტემპერატურა. ამას გარდა, კუადროსმა ბრაზილიის ფეხბურთის მესვეურებს დაავალა პროფესიონალ ფეხბურთელებს ყოველწლიურად მისცენ 20 დღიანი ხელფასიანი შვებულება.

---

რედაქტორი ი. უგულავა

---




7—8 სექტემბერი

ზღვაური (7X7)

დანია-

(მსოფლიოს ექს-ჩემპიონი)

საქართველო

(ვაჟები და ქალები)

დასაწყისი 19 საათზე.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზი

შეხვედრები მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკსა და გროსმაისტერ ს. ფლორთან.

7 სექტემბერი — ლექცია „ჭადრაკი 1961 წელს“.

9 სექტემბერი — მ. ბოტვინიკისა და ს. ფლორის ერთდროული თამაშის სეანსი. მ. ბოტვინიკის — 8 დაფაზე საათებით, ს. ფლორის — 30 დაფაზე.

ს. ფლორის სეანსში მონაწილენი შეირჩევა თამაშის მსურველთა შორის კენჭისყრით.




10-13 სექტემბერი

ფიზკულტურელის პარკი

რესპუბლიკური შეჯიბრება საქართველოს სპორტკავშირის ჯილდოზე

მონაწილეობენ: სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-99-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01134